საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

პოლიკარპე კაკაბაძის სახლ-მუზეუმი

Image not found or type unknown

პოლიკარპე კაკაბაძის სახლ-მუზეუმი, მემორიალური მუზეუმი სოფ. პატარა კუხში (ხონის მუნიციპალიტეტი). დაარსდა 1986, ააიპ (არასამთავრობო, არაკომერციული იურიდ. პირი), ექვემდებარება ხონის სამუზეუმო გაერთიანებას.

მუზეუმში დაცულია პ. კაკაბაძის მემორიალური ნივთები, ხელნაწერები, გამოცემები, ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ფოტო- და დოკუმენტური მასალა, სულ 450-მდე ექსპონატი.

პ. კაკაბაძის სახლ-მუზეუმი

მუზეუმში ყოველწლიურად ეწყობა გამოფენა დრამატურგის დაბადების დღესთან დაკავშირებით. მოეწყო გამოფენა "კაკაბაძეთა გვარის წარმომადგენლები". მოქმედებს საგანმან. პროგრამები: "პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედება", "თეატრი და ცხოვრება". მუზეუმი გამოსცემს გზამკვლევს. ყოველწლიურად მუზეუმს სტუმრობს დაახლ. 625 დამთვალიერებელი.